საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:ბ48.482108810
თარიღი:29/03/2021

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის'' საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, 106-ე მუხლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N17 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ, 50 ერთეული 240 ლიტრიანი პლასტმასისა და 60 ერთეული 1100 ლიტრიანი გალვანიზირებული ფოლადის გამჭვირვალე ბადიანი ნაგავშემკრები კონტეინერი უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას''

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა მოამზადოს მოძრავი ქონების მიღება-ჩაბარების აქტი.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (მ. კანკაძეს).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM